

**ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე**

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე – კოლეგიის თავმჯდომარე
გიორგი ბეგიაშვილი – კოლეგიის წევრი
ირაკლი კორძაბია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - რ. ქ., წარმომადგენელი – მ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.02.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 021/13

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ნ. გ., /სიითი №----/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

- 1.1 2013 წლის 22 თებერვალს ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება თბილისელები“-ის თავმჯდომარემ ეთიკის კომისიას გადმოუგზავნა რ. ქ.-ს წარმომადგენლის მ. ჭ.-ის განცხადება, რომელიც ითხოვდა ადვოკატ ნ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.
- 1.2 წარმომადგენლის განცხადებით, რ. ქ.-სთან ერთად იურიდიული დახმარებისთვის მიმართა შპს „A-ს“. 2010 წლის 30 მარტს რ. ქ.-მ შპს „A-თან“ გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საადვოკატო მომსახურების საფასური განისაზღვრა საქმის გადაწყვეტის შედეგების მიხედვით. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ რ. ქ. მორიგების პირობებზე დათანხმდებოდა მოდავე მხარეს, იურიდიული მომსახურებისათვის შემსრულებელი (შპს „A“) მიიღებდა მორიგებით კლიენტისათვის გათვალისწინებული შესრულების 25 %-ს.
- 1.3 წარმომადგენლის განმარტებით, მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სამივე ინსტანციის სასამართლოში ადვოკატი ნ. გ. იყო რ. ქ.-ს წარმომადგენელი უძრავ ქონებაზე მიმდინარე სამოქალაქო დავაზე შპს „B-ის“ მიმართ (დირექტორი ბ. ს.). შპს „C“ რ. ქ.-მ ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა მის საკუთრებაში არსებული

საცხოვრებელი სახლი, რომლის სანაცვლოდ ეს უკანასკნელნი კისრულობდნენ ვალდებულებას რ. ქ.-სთვის გადაეხადათ 60000 აშშ დოლარი და გადაეცათ 120 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, თუმცა ხელშეკრულების მხარემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

- 1.4 წარმომადგენლის განმარტებით, პირველ და მეორე ინსტანციებში დავა რ. ქ.-ს ინტერესების სასარგებლოდ დასრულდა. ადვოკატ ნ. გ.-ს უნდა მოეთხოვა წაგებული მხარისგან პირველ ინსტანციაში სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება, რაც არ გააკეთა.
- 1.5 წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატმა ნ. გ.-მ უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას სათანადოდ არ დაიცვა რ. ქ.-ს ინტერესები, ვინაიდან „თავჩაღუნული“ ეთანხმებოდა მოსამართლესა და მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს. ნ. გ.-მ უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას, ისე გააფორმა მორიგების აქტი და განსაზღვრა მორიგების პირობები მოდავე მხარესთან, რომ ამის შესახებ არც თავად მას და არც მის მეუღლეს, რ. ქ.-ს, არ შეატყობინა. ადვოკატი ნ. გ. ცრუობს იმასთან დაკავშირებით, რომ უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის დროს საჩივრის ავტორმა გადარეკა რ. ქ.-სთან მორიგების თანხის შესათანხმებლად და საბოლოოდ მორიგების თანხა 80 000 აშშ დოლარი დააფიქსირა. მორიგების აქტის გაფორმებამ წარმომადგენლის განმარტებით, მასსა და მის მეუღლეს რ. ქ.-ს მატერიალური ზიანი მიაყენა, ვინაიდან 80 000 აშშ დოლარი შეუსაბამო თანხა იყო რ. ქ.-ს მოთხოვნასთან შედარებით და შესაბამისად, ამის თაობაზე ის თანხმობას არც განაცხადებდა. ადვოკატ ნ. გ.-ს მიზანი საადვოკატო მომსახურების თანხის ამოღება იყო, რითიც ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარისა და საკუთარი ინტერესები დააყენა კლიენტის ინტერესებზე მაღლა.
- 1.6 წარმომადგენლის მიხედვით, მორიგებაზე მეორე მხარესთან ის მაშინ დათანხმდებოდა, თუ 125 000 აშშ დოლარს გადაუხდიდა მოწინააღმდეგე მხარე, საიდანაც იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად ნ. გ.-ს დარჩებოდა მორიგების თანხის 25 % - 25 000 აშშ დოლარი.
- 1.7 წარმომადგენლის განმარტებით, შპს „A-მ“ საადვოკატო მომსახურების თანხის მოთხოვნის მიზნით სასამართლოში სარჩელი შეიტანა რ. ქ.-ს წინააღმდეგ და დაყადაღდა რ. ქ.-ს საბანკო ანგარიში, რომელზეც უნდა მიეღოთ შესრულება, ასევე მისი ხელფასი, რომელიც 100 ლარს შეადგენდა.
- 1.8 წარმომადგენლის თქმით, ადვოკატმა ნ. გ.-მ, თავისი ქმედებით უფრო უარეს მდგომარეობაში ჩააყენა მისი კლიენტი რ. ქ., როდესაც საადვოკატო მომსახურებაში აიღო 20 000 დოლარი დადამატებით 1400 ლარი.
- 1.9 რ. ქ.-ს წარმომადგენელმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად ადვოკატმა ნ. გ.-მ დაარღვია სსკ-ის 712-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, ვინაიდან ადვოკატს არ ჰქონდა ვარაუდის საფუძველი, რომ რ. ქ. მოიწონებდა მისი მითითებიდან გადახვევას. ამასთან, ადვოკატს შეეძლო მორიგებასთან დაკავშირებით უზენაეს სასამართლოში მცირე ხნით ეთხოვა შესვენების გამოცხადება უშუალოდ რ. ქ.-სთან დასაკავშირებლად მასთან 80 000 აშშ დოლარზე, მორიგების ახალი პირობის შესათანხმებლად. სასამართლო პროცესზე ნ. გ.-მ და მოსარჩელის წარმომადგენელმა ვერ დაადასტურეს ის ფაქტი, რომ ისინი უშუალოდ რ. ქ.-ს შეუთანხმდნენ მორიგების პირობებზე, პირიქით მათ აღნიშნეს, რომ ისინი არც იყვნენ ვალდებულნი ასე მოქცეულიყვნენ. მათი განმარტებით, თავად რ. ქ.-ს უნდა მიემართა

მათთვის განცხადებით და მხოლოდ ამის შემდეგ შეხვდებოდნენ მას, რაც ეწინააღმდეგება როგორც სამოქალაქო კოდექსის 712-ე მუხლს, ასევე იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1.3 პუნქტისა და რწმუნებულების მე-4 მუხლის მოთხოვნებს. ადვოკატმა ნ. გ.-მ მორიგება გააფორმა რ. ქ.-სთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, კლიენტი არ დათანხმებია მორიგების პირობებს და ადვოკატს უფლება არა აქვს მოითხოვოს გასამრჯელოს სახით მორიგებული თანხის 25 %-ის გადახდა.

- 1.10 წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.
- 1.11 განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2014 წლის 04 დეკემბერს საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატისადმი გაფორმებული მინდობილობა და ხელშეკრულება მოიცავს ადვოკატისადმი მორიგების უფლების გადაცემასაც, მაგრამ მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში და მხოლოდ მინდობილობა არ აძლევდა ადვოკატს იმის უფლებას, რომ მისი თანხმობის გარეშე მოეხდინა მორიგება. მისი თანხმობა წერილობითი ფორმით უნდა ყოფილიყო მიღებული. „თავიდან გამაფრთხილეს მათ, რომ მორიგებაზე არ წავსულიყავი და საერთოდ არ გამოვჩნდები მეტი და წამოვედი და წამოვედი. მეუღლე გაფრთხილებული მყავდა, რომ არაფერზე მოეწერა ხელი. თუ მორიგებაზე დაიწყებოდა საუბარი, ჩემთან მოვიდონენ ისინი და მე გავარკვევდი ყველაფერს.“ საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მან იცოდა, რომ მისი მეუღლე სხდომას ესწრებოდა, თუმცა ის სხდომას ესწრებოდა ცნობისმოყვარეობის გამო. მას ადვოკატისთვის დიდი თანხა ჰქონდა გადახდილი, ყოველ წუთს უნდა ერეკა მისთვის და უიმისოდ არაფერზე უნდა მოეწერა ხელი.
- 1.12 წარმომადგენლის განმარტებით, მორიგების გაფორმებამდე საადვოკატო ბიუროდან დაურეკა დ. ყ-მ და უთხრა, რომ მორიგების გზით მიიღებდნენ 125 000 აშშ დოლარს, საიდანაც 100 000 აშშ დოლარი დარჩებოდა მას და 25 000 აშშ დოლარი გადაეცემოდა საადვოკატო ბიუროს. 100 000 აშშ დოლარად რაღაცას იყიდიდა და დათანხმდა. მ. ჰ-ის განმარტებით, ის ინტერესის გამო ესწრებოდა უზენაეს სასამართლოში სხდომებს. მისი მეუღლე არ ესწრებოდა სხდომებს. მათ უკვე იცოდნენ, რომ 100 000 აშშ დოლარზე იქნებოდა მორიგება. ისინი ელოდებოდნენ ამას. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი მუდმივად გადიოდა პროცესიდან და თავის კლიენტს უთანხმებდა ყველა დეტალს. მის ადვოკატსაც შეეძლო მის მეუღლეს დაკავშირებოდა. მორიგებაზე შეთანხმების მიღწევის მიზნით დაიწყო მოლაპარაკება 50 000 აშშ დოლარიდან. მოლაპარაკების დროს ადვოკატი არ დაინტერესებულა რა ფარგლებში აწყობდა მის მეუღლეს მორიგება და რა შემთხვევაში იქნებოდა თანახმა. მას არც კი დაურეკია მისი მეუღლისთვის და თვითონ იღებდა გადაწყვეტილებებს მორიგების ფარგლების შესახებ.
- 1.13 მ. ჰ.-მ განმარტა, რომ უზენაეს სასამართლომდე პირველ და მეორე ინსტანციებში საქმის წარმოების დროს ადვოკატი ახორციელებდა მის ინფორმირებას ყველაფერზე, მაგრამ უზენაეს სასამართლოში მორიგების დროს იგი არ დაინტერესებულა არც მისი და არც მისი მეუღლის აზრით მორიგების პირობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერც ის გადასცემდა ინფორმაციას მეუღლეს. მას ადვოკატისთვის არც მეუღლის გაფრთხილება გადაუცია, რომ მისი თანხმობის გარეშე არაფრისთვის მოეწერათ ხელი. მისი მეუღლე მორიგების აქტს დიდხანს არ გაეცნო, მან არ იცოდა ამის შესახებ, დაუმალეს. ის 21 ივნისის მორიგების აქტის გაფორმების შესახებ ინფორმირების ვალდებულებას თავის

თავზე ვერ აიღებდა. რ. ქ.-მ მორიგების არსებობის შესახებ მორიგების დადებიდან 2 კვირის შემდეგ აღმასრულებლისგან შეიტყო.

- 1.14 წარმომადგენლის განმარტებით, მოწინააღმდეგე მხარეს თანხა სრულად არ ჰქონდა და მორიგების პირობების თანახმად, პირველ ეტაპზე 15 000 აშშ დოლარი უნდა გადმორიცხულიყო. მ. ჭ. საბოლოოდ კი დათანხმდა 60 000 აშშ დოლარის მიღებას, მაგრამ სურდა იურიდიული მომსახურების საფასურის შემცირება. საადვოკატო ბიუროს მიერ შეთავაზებული პირობის თანახმად, მომსახურების საფასურის სახით 15 000 აშშ დოლარს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუ თანხას მაშინვე ჩაურიცხავდნენ, რისი საშუალებაც მორიგების პირობებიდან გამომდინარე საჩივრის ავტორს არ ჰქონდა და 15 000 აშშ დოლარამდე მომსახურების საზღაურის შემცირებაზე შეთანხმება ვერ შედგა.
- 1.15 წარმომადგენლის განმარტებით, ანგარიში საქართველოს ბანკში გახსნა. მეუღლე წაიყვანა და უთხრა, რომ ის 3000 ლარი, დასაბრუნებელი სახელმწიფო ბაჭი უნდა ჩარიცხულიყო, ასე მოტყუებით გაახსნევინეს ანგარიში. დიდი თანხა, რომ დაჯდა ანგარიშზე, მას გაუკვირდა, მაგრამ უთხრეს, რომ გაარკვევდნენ. რ. ქ.-მ არაფერი იცოდა საქმის წარმოების დასრულების შესახებ.

2. ადვოკატის პოზიცია:

- 2.1 ადვოკატმა ნ. გ.-მ 2013 წლის 26 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, 2010 წელს შპს „A-ის“ ოფისში იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით მივიდა რ. ქ. და მისი მეუღლე მ. ჭ.. მომსახურების პირობებზე ჩამოყალიბების შემდეგ, 2010 წლის 30 მარტს გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება შპს „A-სა“ და რ. ქ.-ს შორის. ხელშეკრულების საფუძველზე შპს „A“ კისრულობდა ვალდებულებას გაეწია იურიდიული მომსახურება ქ. თბილისში კიბალჩიხის ქ. №-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სასამართლო და საარბიტრაჟო დავებზე, ხოლო რ. ქ. კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა მომსახურების საფასური საქმის შედეგის მიხედვით, მიკუთვნებული თანხის ან ქონების, ასევე მორიგების შედეგად მისაღები თანხის 25%-ის ოდენობით. ადვოკატის განმარტებით, საქმის წარმოება დაევალა მას.
- 2.2 ადვოკატი აცხადებს, რომ როდესაც რ. ქ.-მ მათ მიმართა ქონება არ იყო არც შპს „C-ის“ და არც შპს „B-ის“ სახელზე, ვისთანაც ჰქონდა რ. ქ.-ს 2008 წლის 27 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება. უძრავი ქონება ირიცხებოდა ისრაელის მოქალაქე ბ. ს.-ის სახელზე, რომელთანაც არ არსებობდა ხელშეკრულება. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა 2008 წლის 27 მარტის ხელშეკრულების მოშლა, შპს „B-ის“ და ბ. ს.-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ბათილობა და რ. ქ.-სთვის მიწის ნაკვეთის დაბრუნება.
- 2.3 ადვოკატის განცხადებით, რ. ქ. არ ინტერესდებოდა საქმის მიმდინარეობით და სასამართლო პროცესებსა თუ მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებებზე დადიოდა მისი მეუღლე მ. ჭ. და მათი შვილი ნ. ქ. რ. ქ.-მ ერთ-ერთ სასამართლო პროცესზეც დააფიქსირა, რომ ის არ დადიოდა პროცესებზე და მას საქმის წარმოება მინდობილი ჰქონდა მ. ჭ.-სთვის და მისთვის საქმის მიმდინარეობის შესახებ ყველაფერი ცნობილი იყო, ვინაიდან მ. ჭ. მუდმივად აწვდიდა მას ინფორმაციას. ადვოკატის განმარტებით, ურთიერთობის ასეთი ფორმატი მიღებულია საადვოკატო პრაქტიკაში და არ არის

იშვიათი, ამიტომ მანაც ჩვეულებრივად ჩათვალა ასეთი მიდგომა რ. ქ.-ს მხრიდან და ვერ აიძულებდა მას ეაქტიურა და ევლო პროცესებზე და ამას არც საქმე მოითხოვდა, ვინაიდან მთავარი იყო ადვოკატების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და სწორი სამართლებრივი მსჯელობა.

- 2.4 ადვოკატის განმარტებით, უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის დროს მისთვის მოულოდნელად დაინიშნა ზეპირი მოსმენა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა შესთავაზეს მხარეებს საქმის მორიგებით დამთავრება. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიუთითა მხარეებს საქმის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე, ეს იყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად, ასევე საქმის პირდაპირ გადაწყვეტა უზენაესი სასამართლოს მიერ და უარის თქმა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. იმ შემთხვევაში თუ რ. ქ.-ს სახლი დაუბრუნდებოდა, მას მოუწევდა ბ. ს.-თვის და შპს „B-თვის“ დაებრუნებინა მიღებული თანხები, საიდანაც 150 000 აშშ დოლარის მიღების დამადასტურებელი რ. ქ.-ს მიერ ხელმოწერილი საბუთები უკვე წარმოდგენილი იყო.
- 2.5 ადვოკატი აღნიშნავს, რომ პირველ ინსტანციაში საქმის მიმდინარეობისას მ. ჭ. და უშუალოდ რ. ქ. აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელთან ლ. ჯ.-სთან და ამ პროცესში ადვოკატის თქმით, თავადაც იყო ჩართული, თუმცა მხარეების მოთხოვნებს შორის დიდი სხვაობა იყო მორიგების პირობებზე და მორიგებას აზრი არ ჰქონდა. მ. ჭ., ცდილობდა მორიგებაზე წამოეყვანა მოწინააღმდეგე მხარე და ადვოკატის თანდასწრებით სასამართლო პროცესსა თუ მის გარეთ, არაერთხელ დაბრუნებია მორიგების თემას ადვოკატ ლ. ჯ.-სთან საუბრის დროს.
- 2.6 ადვოკატის განმარტებით, უზენაეს სასამართლოში მორიგება ინიცირებული იყო უშუალოდ მოსამართლეთა მხრიდან და მეორე სხდომამდე მხარეებს მოსარიგებლად დრო მიეცათ. უზენაეს სასამართლოში, მეორე სხდომის დაწყებამდე ლ. ჯ.-ს ადვოკატი ნ. გ. არ შეხვედრია და არ ახსოვს საერთოდ ტელეფონითაც თუ ესაუბრა მას. ადვოკატის განმარტებით, 2010 წლის 21 ივნისს სხდომაზე მისულები იგივე პოზიციაზე იყვნენ, კერძოდ ბ. ს. იხდიდა 50 000 აშშ დოლარს, რაც მაქსიმალური თანხა იყო, ხოლო თავად ითხოვდნენ 150 000 აშშ დოლარამდე თანხის გადახდას. უზენაესი სასამართლოს აქტიური მონაწილეობის შედეგად ბ. ს.-ის მხრიდან დაფიქსირდა მორიგების მაქსიმალური თანხა 80 000 აშშ დოლარი. მათი მხრიდანაც მიდიოდა თანხაზე შეთანხმება, კერძოდ მ. ჭ. ათანხმებდა მორიგების თანხის მინიმალურ ზღვარს. უზენაესი სასამართლო მათ სთხოვდა მათი თანხის შემცირებას, მ. ჭ.-მ უზენაესი სასამართლოდან დარეკა სახლში და ადვოკატისთვის უცნობია თუ ვის ელაპარაკა, თუმცა საბოლოოდ 80 000 აშშ დოლარზე დააფიქსირა თავისი თანხმობა.
- 2.7 ადვოკატის განმარტებით, მან მ. ჭ.-ს განუმარტა, რომ ვალდებულნი არ იყვნენ დათანხმებოდნენ მორიგების პირობებს, თუმცა გასათვალისწინებელი იყო, რომ უზენაეს სასამართლოს შესაძლოა მათი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოეტანა, ხოლო დავის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში დავა შეიძლება გაგრძელებულიყო. ადვოკატმა მ. ჭ.-ს შეახსენა, რომ მორიგების თანხაზე შეთანხმებისას გასათვალისწინებელი იყო შპს „A-ის“ მომსახურების საფასურიც. მ. ჭ.-ის თანხმობის შემდეგ შეთანხმება გაგრძელდა თანხის გადახდის ვადებზე. ბ. ს. ითხოვდა 3 თვიან ვადას, რასაც არ დაეთანხმა მ. ჭ. და მოითხოვა თანხის ნაწილის თავიდანვე გადახდა და 3 თვიანი ვადის შემცირება. საბოლოოდ

შეთანხმდნენ 15 000 აშშ დოლარის 15 დღეში მიღებაზე და 65 000 აშშ დოლარის გადახდაზე - 2 თვემდე ვადაში. გარდა ამისა, მ. ჭ.-ის მოთხოვნით დაითქვა რ. ქ.-ს და მისი ოჯახის წევრების 2011 წლის 22 ნოემბრამდე (5 თვის ვადით) ცხოვრების უფლება, ეს ვადა რ. ქ.-ს სჭირდებოდა მორიგების თანხით ბინის შესაძენად და ახალ ბინაში გადასასვლელად.

- 2.8 ადვოკატის განმარტებით, მორიგებაზე არ ყოფილა მისი მხრიდან არანაირი ჩარევა ან ზემოქმედება. ადვოკატის თქმით, მისი ინტერესი იყო მორიგება მხოლოდ საჩივრის ავტორის ნების შესაბამისი ყოფილიყო. შპს „A-ს“ საქმის მორიგების შემთხვევაში მიიღებდა საკმაოდ დიდ წილს 25 %, თუმცა მაღალ თანხაზე მორიგება და უფრო უკეთესი შედეგის მიღწევა შედიოდა კომპანიის ინტერესში, რადგან ასეთ შემთხვევაში შპს „A“ მეტს მიიღებდა.
- 2.9 ადვოკატის განმარტებით, რ. ქ.-ს შეეძლო დაეყენებინა მორიგების ბათილობის საკითხი, თუმცა მას არ გაუკეთებია განცხადება აღნიშნულთან დაკავშირებით და არც დღეს ხდის სადავოდ მორიგებას. მას რ. ქ.-სა და მ. ჭ.-სთან შეთანხმების გარეშე, მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებები არ უწარმოებია.
- 2.10 ადვოკატის განმარტებით, მ. ჭ.-მ მოითხოვა საადვოკატო მომსახურების საფასურის 15 000 აშშ დოლარამდე შემცირება და ამ საფასურის გადახდა ბ. ს.-ის მხრიდან მეორე ტრანშით თანხის მიღების შემდეგ. ადვოკატის განმარტებით, გადახდის ვადის გადაწევით, რ. ქ.-ს შეეძლო თავი აერიდებინა გადახდისათვის. ადვოკატის განმარტებით, უშედეგოდ წერილობითი გაფრთხილების შემდეგ გადაწყდა შესაბამისი ზომების მიღება შპს „A-ის“ მიერ მისაღები მომსახურების საზღაურის ამოსაღებად, კერძოდ აღიძვრა სამოქალაქო სარჩელი და ყადაღა დაედო რ. ქ.-ს ანგარიშებს. ასევე იყო საფრთხე, რომ რ. ქ. შეთანხმებულიყო ბ. ს.-თან და თანხა არა საბანკო ანგარიშსწორების გზით მიეღო, რაზედაც ასევე მოხდა შესაბამისი აკრძალვის გამოთხოვა სასამართლოდან.
- 2.11 ადვოკატის განმარტებით, სარჩელის შემდეგ რ. ქ.-მ დააყენა შეგებებული სარჩელი, რომლითაც, თითქოს მორიგება არ შეესაბამებოდა მის ინტერესებს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რ. ქ.-ს დაეკისრა მომსახურების საფასურის სრულად გადახდა, ხოლო შეგებებულ სარჩელზე ეთქვა უარი.
- 2.12 ადვოკატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ვერ იქნა დადგენილი მისი მხრიდან რაიმე არაკეთილსინდისიერი მოქმედებისა და არასათანადო იურიდიული მომსახურების გაწევის, ასევე რ. ქ.-სთან შეუთანხმებლად მოქმედების ფაქტი.
- 2.13 ადვოკატმა ნ. გ.-მ წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, რ. ქ. მორიგების დამტკიცებიდან მოკლე ვადაში (დაახლოებით 2-3 დღეში) ხსნის საბანკო ანგარიშს და იღებს კუთვნილ თანხას სასამართლო ყადაღის გათვალისწინებით. მორიგებაზე უკმაყოფილებას რ. ქ. აფიქსირებს მხოლოდ შპს „A-ის“ სარჩელის შეტანის შემდეგ და ეს უკმაყოფილება პირდაპირ მიმართულია მომსახურების საფასურის გადახდის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულს ემატება ის გარემოებაც, რომ 2011 წლის 14 სექტემბერს, ბ. ს.-სგან ბოლო ტრანშის მიღებიდან (2011 წლის აგვისტო) ერთი თვის განმავლობაში, რ. ქ.-ს მიერ შეძენილ იქნა სამოთახიანი ბინა ქ. თბილისში. ყველა ეს ფაქტი პირდაპირ გამოხატავს და ადასტურებს, რომ რ. ქ.-მ თავიდანვე იცოდა მორიგების პრობების შესახებ და ეს მორიგება შეესაბამებოდა მის ინტერესებს.

- 2.14 ადვოკატის განმარტებით, რ. ქ.-მ საქმის სამ ინსტანციაში განხილვის უფლების გამოყენებით, უკვე წაუყენა იგივე ბრალდებები და იგივე მოთხოვნები, რაც ადვოკატთა ასოციაციაში აქვს დაფიქსირებული. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ნ. გ., როგორც რ. ქ.-ს წარმომადგენელი არ მოქმედებდა მარწმუნებლის ინტერესების საზიანოდ და მისი ნების საწინააღმდეგოდ. სასამართლოს მიერ დადგენილ ამ გარემოებას აქვს პრეიდუციული ხასიათი და აღნიშნული საკითხი არ შეიძლება რ. ქ.-მ გახადოს სადავო, რომელიმე სხვა დავაში ან წარმოებაში. რ. ქ.-მ უკვე გახადა ეს ფაქტი სადავო და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილება. ადვოკატი აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით „მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ამოწმებს უზენაესი სასამართლო, რომელიც ვალდებულია იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული დანაწესით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები ვრცელდება ასევე ადმინისტრაციულ პროცესზე). შესაბამისად, აღნიშნული ნორმა გასათვალისწინებელი უნდა იყოს ეთიკის კომისიისათვისაც. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“. იგივე ნორმას ითვალისწინებს კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ და საპროცესო კანონმდებლობა. მართლწესრიგი ერთიანია და სასამართლოს გადაწყვეტილებას არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ხელისუფლების სხვა შტოს, თუ სხვა საჯარო ორგანოს გადაწყვეტილება. სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად გადაწყვიტა საკითხი გამოძიების ორგანოებმაც, რომლებმაც არ დაიწყეს სისხლის სამართლებრივი დევნა მ. ჭ.-ის საჩივარზე.
- 2.15 ადვოკატმა ნ. გ.-მ 04 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ის მოქმედებდა კეთილსინდისიერების ფარგლებში და ყველა განხორციელებული ქმედება იყოს საფუძვლიანი. უზენაეს სასამართლოში ის იძულებული გახდა მოპასუხესთან ვაჭრობის შედეგად წასულიყო მორიგებაზე, რაც გააკეთა მის მარწმუნებელთან სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად. უზენაეს სასამართლოში მორიგების პირობებზე ვაჭრობისას ის დეტალებს უხსნიდა და ათანხმებდა მ. ჭ.-სთან და შემდეგ ოჯახთან, მათ შორის რ. ქ.-სთან. სწორედ ამიტომ ჰკითხა მან მ. ჭ.-ს სავარაუდო თანხის ოდენობა, რაზეც ისინი თანახმანი იქნებოდნენ მორიგების შემთხვევაში და პასუხად მიიღო - 125 000 აშშ დოლარი. აქედან გამომდინარე სავაჭრო თანხად მათი მხრიდან დასახელდა 125 000 აშშ დოლარი. მეორე მხარე 50 000 აშშ დოლარზე მეტს არ იხდიდა. საბოლოოდ მორიგების თანხად დაფიქსირდა 80 000 აშშ დოლარი. ამის შემდეგ ადვოკატი და მ. ჭ. მორიგების პირობებს ათანხმებდნენ. ადვოკატი სამართლებრივ საკითხებს რ. ქ.-ს მ. ჭ.-ის ტელეფონით უმარტავდა, მორიგების აქტზე ხელს არ მოაწერდა კლიენტის ნების გარეშე.
- 2.16 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტის ნომერი არ იცოდა და ესაუბრა მ. ჭ.-ს ტელეფონით. კლიენტის ნომერი არ ჰქონდა, რადგან მუდამ მის მეუღლესთან ჰქონდა

კომუნიკაცია. კლიენტი თავიდანვე შეუთანხმდა, რომ მის მაგივრად პროცესებზე ივლიდა მისი მეუღლე, მ. ჭ. და იგი მიაწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ, ასევე მიიღებდა გადაწყვეტილებებს, მაგრამ უზენაეს სასამართლოში ესე არ მოხდა, მან დააზუსტა კლიენტის ნება. მ. ჭ.-ის მითითება იმაზე, რომ იგი ინფორმირებული არ იყო მორიგების თაობაზე, გამოირიცხება იმ გარემოებითაც, რომ იგი აქტიურ კომუნიკაციაში შედიოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან, კერძოდ, მას ხანგრძლივი კომუნიკაცია ჰქონდა ქალბატონ ნ. კ.-სთან, რომელიც ურჩევდა მას საქმის მორიგებით დასრულებას. შესაბამისად გამოირიცხულია, რომ ასეთ აქტიურ პიროვნებას, რომელიც დაინტერესებული იყო საქმის მიმდინარეობით, არ შეეცყო მორიგების პირობების შესახებ.

2.17 ადვოკატის განმარტებით, მას ანგარიშის გახსნისას არ ჰქონდა კლიენტთან ურთიერთობა. ქალბატონ მ-ს ჰქონდა კომუნიკაცია ფირმის დამფუძნებელთან და მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან, რომელთანაც შეათანხმა ყველაფერი, სად მოხდებოდა თანხის გადარიცხვა და ასე შემდეგ. ქალბატონი მ. მორიგების შემდეგ მივიდა ფირმის დამფუძნებელთან თხოვნით, რომ 20 000 აშშ დოლარის ნაცვლად გადაეხადა 15 000 აშშ დოლარი.

3. მოწმის კ. ა.-ს პოზიცია:

3.1. 2014 წლის 04 დეკემბერს განხილვის სხდომაზე მოწმემ, კ. ა-მ განმარტა, რომ ის მუშაობდა ადვოკატ ნ. გ.-სთან ერთად ერთ ფირმაში და როცა საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მიმართა მათ საადვოკატო ფირმას, მაშინ შედგა მათ შორის ურთიერთობა. მას უშუალო შეხება არ ჰქონია აღნიშნულ საქმესთან სამოქალაქო წარმოების დროს, თუმცა აქტიურად ეცნობოდა მას და კონსულტაციასაც უწევდა მასთან დაკავშირებით მის კოლეგას ნ. გ.-ს. მას შემდეგ, რაც უზენაეს სასამართლოში საქმე მორიგებით დასრულდა, მას დაუკავშირდა მ. ჭ. და სთხოვა მოწმედ გამოსულიყო პროცესზე, თუმცა მან განუცხადა უარი, რადგან მისი კომპანიის წინააღმდეგ ვერ გამოვიდოდა. მთელი საქმის წარმოების განმავლობაში მას კომუნიკაცია ჰქონდა მხოლოდ მ. ჭ.-სთან და არანაირი შეხება არ ჰქონია საჩივრის ავტორ რ. ქ.-სთან.

3.2. მოწმის განმარტებით, მოპასუხე მხარე ბ. ს. გამოირიცხავდა მორიგებას, რადგან თვლიდა, რომ მორიგების შედეგად იგი დარჩებოდა ძალიან წაგებულ პოზიციაში.

4. მოწმის დ. გ.-ის პოზიცია:

4.1 მოწმის განმარტებით, მ. ჭ.-მ და რ. ქ.-მ მისი საადვოკატო ბიუროს დირექტორად დანიშვნამდე მიმართეს და პირდაპირი კომუნიკაცია საჩივრის ავტორთან და მის წარმომადგენელთან არ ჰქონია. ფირმასა და რ. ქ.-ს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მხარე იღებდა ვალდებულებას, რომ დავის მორიგების გზით გადაწყვეტის შემთხვევაში ფირმა მიიღებდა მიღებული თანხის 25%-ს, რაც მხარემ არ შეასრულა. შესაბამისად, ფირმის მხრიდან მოხდა გაფრთხილება თანხის გადახდის შესახებ და ის სწორედ იმ პერიოდში გახდა ფირმის დირექტორი, როცა სასარჩელო მოთხოვნით ითხოვდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, 20 000 ლარის გადახდას. ფირმის მიერ შეტანილ სარჩელზე რ. ქ.-მ შეიტანა შეგებებული

სარჩელი, რითაც მოითხოვა ბიუროსგან არაკვალიფიციური მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ადვოკატებს განსაზღვრული ჰქონდათ ყოველთვიური დადგენილი ხელფასი, მათ არანაირი მოგება არ რჩებოდათ საქმიდან და მათი გასამრჯელო შემოიფარგლებოდა მხოლოდ ყოველთვიური ხელფასით. შესაბამისად ადვოკატ ნ. გ.-ს საქმის მორიგებით დამთავრების მიმართ არანაირი ინტერესი და მოტივაცია არ ექნებოდა, გარდა თავისი საქმიანობის კვალიფიციურად განხორციელებისა.

4.2 მოწმის განმარტებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდასთან დაკავშირებით ბიუროში მიდიოდა მ. ჭ., მაგრამ მასთან მას არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონია.

4.3 მოწმის განმარტებით, მ. ჭ.-ის პრეტენზიების შესახებ ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებით პირველად შეგებებული სარჩელიდან გაიგო, ვინაიდან მას, როგორც ფირმის დირექტორს თანხებთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთობები ძირითადად არ ეხებოდა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარი, მორიგების გზით მიღებული თანხის 25%-ის საკითხიც პროცენტების დაკლების შესახებ მას არ განუხილია და არ გადაუწყვეტია. მსგავსი საკითხები, როგორცაა დივიდენდების მიღება, წყდებოდა დამფუძნებლების მიერ საბჭოზე, შესაბამისად, სარჩელის აღძვრის შესახებაც მათ მიიღეს გადაწყვეტილება.

4.4 მოწმის განმარტებით, სარჩელის შეტანისას მათ საერთოდ არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საჩივრის ავტორს და მის მეუღლეს პრეტენზიები გააჩნდათ მათი ადვოკატის მიმართ და წარმოადგენდნენ შეგებებულ სარჩელს. შესაბამისად, არ იცოდნენ თუ რა მიზეზით არ ხდებოდა მათი მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

5.1 2013 წლის 23 აპრილს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.2 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ნ. გ. მის კლიენტს, რ. ქ.-ს, არ აწვდიდა ინფორმაციას სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობის შესახებ, მასთან შეთანხმების გარეშე განსაზღვრა მოდავე მხარესთან მორიგების პირობები და მორიგების აქტი რ. ქ.-ს მიერ მოწონების გარეშე გააფორმა, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

5.3 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. გ.-მ არ განუმარტა კლიენტს, რ. ქ.-ს, მორიგების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდაო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1 ადვოკატი ნ. გ. შპს „A-სა“ და რ. ქ.-ს შორის 2010 წლის 30 მარტს იურიდიული მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული მინდობილობის თანახმად, წარმოადგენდა რ. ქ.-ს ინტერესებს ყველა სასამართლო ინსტანციაში უძრავ ქონებაზე არსებულ დავაზე შპს „B-ს“ და ბ. ს.-ს შორის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2011 წლის 30 მარტის ხელშეკრულება, ს.ფ. 15-17
- 2011 წლის 09 ივნისის რწმუნებულება, ს.ფ. 22-24
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, ს.ფ. 39-53
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, ს.ფ. 54-68
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, ს.ფ. 170-175

6.1.2 ადვოკატი ნ. გ. მონაწილეობას იღებდა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისისა და 21 ივნისის სხდომებში. 21 ივნისის განჩინებით დამტკიცდა მორიგება, რომლის თანახმადაც შპს „B“-მა და ბ. ს.-მ აიღეს ვალდებულება რ. ქ.-ს სასარგებლოდ გადაეხადათ 80 000 აშშ დოლარი, რომელიც რ. ქ.-მ მიიღო უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის განჩინება
- განხილვის კოლეგიის 2013 წლის 04 დეკემბრის სხდომის ოქმში მოცემულ მხარეთა განმარტებები, ს.ფ. 191-205

6.1.3 რ. ქ. არ მონაწილეობდა სასამართლო სხდომებში. უზენაესი სასამართლოს ორივე სხდომას ესწრებოდა მისი მეუღლე მ. ჭ., რომელიც თავის მოსაზრებებს აფიქსირებდა მორიგების პირობებთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისისა და 21 ივნისის სხდომის ოქმების ელ. ჩანაწერები
- განხილვის კოლეგიის 2013 წლის 04 დეკემბრის სხდომის ოქმში მოცემულ მხარეთა განმარტებები, ს.ფ. 191-205

6.2 საქმეში დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

- 6.2.1 განხილვის კოლეგია დადგენილად მიიჩნევს გარემოებას, რომ ადვოკატ ნ. გ.-სა და რ. ქ.-ს შორის შეთანხმებული იყო ადვოკატის მიერ მ. ჭ.-სათვის საქმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების წესი.

საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. გ.-ს შორის შეთანხმებული იყო კომუნიკაციის ფორმა, რომლის თანახმად ადვოკატს საქმის თაობაზე ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა რ. ქ.-ს მეუღლისათვის, მ. ჭ.-სათვის, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულ ინფორმაციას მიაწვდიდა რ. ქ.-ს. აღნიშნული დაადასტურა რ. ქ.-მ განხილვის კოლეგიის სხდომაზე, სადაც განაცხადა, რომ „თავიდან გამაფრთხილეს მათ, რომ მორიგებაზე არ წავსულიყავი და საერთოდ არ გამოვჩნდები მეტი და წამოვედი და წამოვედი. მეუღლე გაფრთხილებული მყავდა, რომ არაფერზე მოეწერა ხელი, თუ მორიგებაზე დაიწყებოდა საუბარი, ჩემთან მოვიდონენ ისინი და მე გავარკვევდი ყველაფერს.“ მ. ჭ.-მ განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა, რომ პირველ ორ ინსტანციაში საქმის წარმოების დროს ნ. გ. მუდმივად და დროულად აწვდიდა ინფორმაციას, მაგრამ სადავოდ გახადა უზენაეს სასამართლოში საქმის წარმოებისას ადვოკატის მიერ მისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა განხილვის კოლეგიის 2013 წლის 04 დეკემბრის სხდომის ოქმში მოცემულ მხარეთა განმარტებებს, ს.ფ. 193, 199

- 6.2.2 ადვოკატმა ნ. გ.-მ მორიგების პირობებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა რ. ქ.-ს მეუღლეს, მ. ჭ.-ს და მოქმედებდა მასთან შეთანხმებით.

განხილვის კოლეგიის განმარტებით, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განხილვის კოლეგიის 2013 წლის 04 დეკემბრის სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციიდან გამომდინარე კომისია ვერ დარწმუნდა, რომ ადვოკატი არ აწვდიდა მას მორიგებასთან დაკავშირებით ინფორმაციას და არ მოქმედებდა მასთან შეთანხმებით შემდეგი გარემოებების გამო: მ. ჭ. ესწრებოდა უზენაეს სასამართლოში როგორც 14 ივნისის სხდომას, რომელიც გადაიდო მორიგების მიზნით, არამედ 21 ივნისის სხდომასაც, როდესაც შედგა მორიგების აქტი. მ. ჭ.-ის განმარტებიდან დგინდება, რომ მისთვის მორიგების სასურველი თანხა იყო 125 000 აშშ დოლარი, რის შესახებაც აცნობა ადვოკატ ნ. გ.-ს, რაც ადვოკატმა დაასახელა მორიგების პირობების განხილვისას სასამართლო სხდომაზე; მ. ჭ. ერთის მხრივ განმარტავს, რომ მაშინ, როდესაც ნ. გ. ხელს აწერდა მორიგების აქტს, მან საერთოდ არ იცოდა მორიგების აქტი თუ არსებობდა, რადგან ადვოკატი არ დალაპარაკებია პროცესის მორიგებით დასრულების შესახებ და მან მორიგების შესახებ უზენაეს სასამართლოში საქმის მასალების გადაღებისას შეიტყო, ხოლო მეორეს მხრივ, განხილვის ამავე სხდომაზე ამბობს, რომ მისთვის ცნობილი იყო საქმის მორიგებით დასრულების შესახებ, ხოლო მისი მეუღლე მორიგების აქტს დიდხანს არ გაეცნო, მან არ იცოდა ამის შესახებ, ვინაიდან დაუმალა. წარმომადგენლის განმარტებით, იგი 21 ივნისის მორიგების აქტის გაფორმების შესახებ ინფორმირების

ვალდებულებას თავის თავზე ვერ აიღებდა. მ. ჭ.-მ მეუღლეს მოტყუებით გაახსნევინა საბანკო ანგარიში მორიგების პირობების თანახმად, თანხის მისაღებად და მოლაპარაკებას აწარმოებდა იურიდიული ფირმის დირექტორთან იურიდიული მომსახურების საფასურის შემცირების მოთხოვნით. სხდომის დღეს სატელეფონო საშუალებით მ. ჭ. დამატებით კიდევ ესაუბრა ადვოკატ ნ. გ.-ს (მ. ჭ.-ის ნომრის 2011 წლის 21 ივნისის დეტალიზაცია - ---- 16:10:48 00:01:38). აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ მ. ჭ. არათუ ინფორმირებული იყო მორიგების პირობების შესახებ და ადვოკატი მოქმედებდა მასთან შეთანხმებით, არამედ მ. ჭ. თავად იღებდა გადაწყვეტილებებს მორიგების პირობების აღსრულებასთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- განხილვის კოლეგიის 2013 წლის 04 დეკემბრის სხდომის ოქმში მოცემულ მხარეთა განმარტებები, ს.ფ. 191-205
- მ. ჭ.-ის ნომრის 2011 წლის 21 ივნისის დეტალიზაცია, ს.ფ. 160-161

6.2.3 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ნ. გ. 2011 წლის 21 ივნისს რ. ქ.-ს მ. ჭ.-ის ტელეფონით არ ესაუბრა.

განხილვის კოლეგიის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით განხილვის კოლეგია ვერ დარწმუნდა ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ რ. ქ.-სთან ტელეფონით საუბრის შესახებ. მ. ჭ. არ ადასტურებს ადვოკატის აღნიშნულ განმარტებას. მ. ჭ.-მ წარმოადგინა თავისი ნომრის 2011 წლის 21-22 ივნისის დეტალური ამონაწერი და მიუთითა, რომ რ. ქ.-ს ნომერს წარმოადგენდა: ----- . აღნიშნული ნომერი სადავოდ არ გაუხდია ადვოკატ ნ. გ.-ს, ვინაიდან მისი განმარტებით მას კლიენტის ნომერი არ ჰქონია, მუდმივად მ. ჭ.-სთან კომუნიკაციის გამო. სატელეფონო ამონაწერით დგინდება, რომ ნომერზე - ----- 21 ივნისს არ განხორციელებულა სატელეფონო ზარი. აღნიშნული არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ადვოკატს რ. ქ.-სთან ესაუბრა მ. ჭ.-ის ნომრიდან განხორციელებული ზარის მეშვეობით, მაგრამ ოჯახის წევრის სხვა ნომერზე, თუმცა არც ერთი მხარე ამას არ აკონკრეტებს. 21 ივნისს მ. ჭ.-ის ნომრიდან რამოდენიმე ზარი განხორციელდა ერთი და იგივე ნომრებზე და საუბარი შედგა შემდეგ ნომრებთან: ----- 18:13:11 00:01:00; ----- 17:49:13 00:01:30; ---- 17:15:34 00:01:14;----- 16:10:48 00:01:38; ----- 13:06:59 00:00:26. აქედან ----- ეკუთვნის ადვოკატ ნ. გ.-ს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- განხილვის კოლეგიის 2013 წლის 04 დეკემბრის სხდომის ოქმში მოცემულ მხარეთა განმარტებები, ს.ფ. 191-205
- მ. ჭ.-ის ნომრის 2011 წლის 21 ივნისის დეტალიზაცია, ს.ფ. 160-161

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება

- 8.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს არ დაურღვევია შემდეგი მუხლები:
- 8.1.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“
 - 8.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“
 - 8.1.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.
- 8.2 ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. კლიენტს უნდა ჰქონდეს სრული და სწორი ინფორმაცია მისი საქმის შესახებ, რათა შეძლოს საქმის მსვლელობის პროცესში გადაწყვეტილებების მიღება. ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე N057/10 2011 წლის 08 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა: „ადვოკატსა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ.“
- 8.3 კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმის თაობაზე, ეთიკის კომისიამ 2012 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N030/12 განმარტა, რომ „ადვოკატი ვალდებულია საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდოს უშუალოდ კლიენტს ან ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ კომუნიკაციის ისეთ ფორმაზე, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებას. ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის შეთანხმებული ფორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ პრინციპებს. ადვოკატმა კლიენტთან ინფორმაციის მიწოდების ფორმის შეთანხმებისას არ უნდა დაარღვიოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი და უნდა უზრუნველყოფდეს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ კლიენტთან შეთანხმებული

წესით ინფორმაციის მიწოდებისას არ დაარღვიოს მის საქმესთან დაკავშირებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.“

- 8.4 ადვოკატს შეუძლია, კლიენტთან შეთანხმდეს მისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რაც შეიძლება გულისხმობდეს ადვოკატის მიერ კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირისადმი ინფორმაციის მიწოდებას და აღნიშნული პირის მიერ კლიენტის ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მსგავსი სახის ინფორმაციის მიწოდების ფორმის გამოიყენება დასაშვებია მხარეთა შეთანხმების არსებობისას. ადვოკატის დავალდებულება ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს იმ პირობებში, როდესაც კლიენტი საადვოკატო საქმიანობის დაწყების პროცესში ან შემდგომ გამოხატავს სურვილს, რომ ადვოკატმა ინფორმაცია მიაწოდოს მინდობილ პირს, შეიძლება ზედმეტად დამავალდებულებელი იყოს ადვოკატისათვის. ადვოკატის მიერ მინდობილი პირისათვის ინფორმაციის მიწოდებისას, კლიენტის ლეგიტიმური ინტერესი თავისი საქმის თაობაზე მიიღოს ინფორმაცია დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს.
- 8.5 ადვოკატ ნ. გ.-ს კლიენტთან, რ. ქ.-სთან, ურთიერთობა ჰქონდა რ. ქ.-ს მინდობილი პირის მეშვეობით, რომელსაც წარმოადგენდა რ. ქ.-ს მეუღლე მ. ჭ.. მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ ადვოკატი საქმის მიმდინარეობის თაობაზე რ. ქ.-ს მეუღლეს, მ. ჭ.-ს მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას (ფაქტობრივი გარემოება 6.2.2) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხდომის ოქმის ჩანაწერშიც ნათლად ჩანს, რომ 2011 წლის 21 ივნისს მორიგების აქტის შედგენას ესწრებოდა რ. ქ.-ს მეუღლე, მ. ჭ., რომელიც ყველა სასამართლო პროცესს ესწრებოდა და ადვოკატს ნებისმიერ დროს უკავშირდებოდა თუ რამე აინტერესებდა საქმესთან დაკავშირებით. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მთელი პროცესი მიმდინარეობდა მხარეთა მორიგების მიზნით. რ. ქ.-ს მეუღლეს სასამართლოს მხრიდან მიეცა საშუალება მორიგებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოეხატა. სასამართლომ ნათლად განმარტა ის შედეგები, რაც დავის მორიგებით დასრულების შემთხვევაში დადგებოდა და 2011 წლის 21 ივნისს სასამართლო განჩინებით დამტკიცდა მორიგება.
- 8.6 რ. ქ.-მ საკონტაქტო პირის დასახელებით გამოხატა ნდობა საკონტაქტო პირის მიმართ და აიღო ის რისკი, რაც შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო ამ საკონტაქტო პირის მიერ მისთვის ინფორმაციის არასრულად ან არადროულად მიწოდებაზე. განხილვის კოლეგიის სხდომაზე რ. ქ.-მ განმარტა, რომ მისთვის ცნობილი იყო მორიგების შესაძლებლობა და იგი 2011 წლის 09 ივნისს ადვოკატს აძლევს მეორე მინდობილობას მორიგების უფლებით, ამასთან არც ამ შემთხვევაში მიდის სხდომებზე დასასწრებად, არ ერთვება საქმის წარმოებაში, თავად არ უკავშირდება ადვოკატს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ნდობას მინდობილი პირისადმი. რ. ქ.-მ იცოდა მისი საქმის უზენაეს სასამართლოში განხილვის შესახებ და იცოდა, რომ მ. ჭ. ესწრებოდა სხდომებს, ვინაიდან მისი განცხადებით, საქმის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი ოჯახისათვის.
- 8.7 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, არ დასტურდება ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა. ადვოკატმა ნ. გ.-მ მ. ჭ.-ს, როგორც რ. ქ.-ს მინდობილ პირს, მიაწოდა ინფორმაცია მორიგების პირობების შესახებ და მორიგების აქტის პირობების მიმართ კლიენტის პრეტენზიის გაჩენა რამდენიმე კვირის შემდეგ გამოწვეული არ იყო ადვოკატის ბრალით. მ. ჭ.-მ განხილვის კოლეგიის სხდომაზე

აღიარა, რომ მას საქმის მორიგებით დასრულებასთან დაკავშირებით მეუღლის პოზიცია ადვოკატისთვის არ გადაუცია და არც მეუღლისთვის მიუწოდებია ინფორმაცია მორიგების პროცესის შესახებ. მ. ჭ.-მ თავად აღასრულა მორიგება, კერძოდ მორიგების თანხის მისაღებად მეუღლეს მოტყუებით გაახსევინა საბანკო ანგარიში და მიიღო მორიგებით გათვალისწინებული თანხა. ასევე მ. ჭ.-მ აწარმოა მოლაპარაკება იურიდიული ფირმის დირექტორთან იურიდიული მომსახურების საფასურის შემცირების მიზნით.

8.8 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ნ. გ.-მ მ. ჭ.-ს მიაწოდა ინფორმაცია 2011 წლის 21 ივნისის მორიგების აქტის თაობაზე აღნიშნული ინფორმაციის რ. ქ.-სთვის მიწოდების მიზნით, რადგან ადვოკატსა და მხარეებს შორის შეთანხმებული იყო კომუნიკაციის აღნიშნული ფორმა და მ. ჭ.-ს უნდა უზრუნველყო აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება რ. ქ.-სთვის.

8.9 განხილვის კოლეგიამ ადვოკატ ნ. გ.-ს ქმედებებში ვერ აღმოაჩინა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების დარღვევა. შესაბამისად, არ არსებობს ადვოკატ ნ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

III ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლით; მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით; „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ. გ.-ს /სიითი №---/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:

/ცირა შუბითიძე/

კოლეგიის წევრი:

/ირაკლი კორმახია/

კოლეგიის წევრი:

/გიორგი ბეგიაშვილი/